ხელშეკრულება №92
Daisy Expert საკონტროლო სალარო აპარატების
ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე)

ქ. თბილისი 8 აპრილი, 2022 წ.

ერთი მხრივ, შპს **„ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ406049823 წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **გიორგი წაქაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორე მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**, ს/კ 205005910 წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის **სოფიო ტურიაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

პრეამბულა:
მხარეები მათ შორის არსებული საკონტროლო-სალარო აპარატების მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსყიდველი საკონტროლო სალარო აპარატის (სსა) ნაწილების, ცვლადი მაკომპლექტებლების, აქსესუარების (ნივთი) და სსა-ს შეკეთებასთან დაკავშირებული მომსახურების (შემდგომში „მომსახურება") – CPV50311400 (ანაზღაურებას ახორციელებს პრეისკურანტის საფუძველზე (დანართი) კონსიგნაციით, მიმწოდებლის მიერ გაწერილი საგადასახადო დოკუმენტაციისა (ზედნადები, ანგარიშფაქტურა) და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულება არ ვრცელდება საკონტროლო სალარო აპარატების სააბონენტო მომსახურებაზე.

2. ნივთის მიწოდება/მომსახურების გაწევა

2.1. შემსყიდველი ნივთის შეძენას და მასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურების მიღებას ახორციელებს მიმწოდებლის ფილიალების (სერვის-ცენტრები) მეშვეობით ეტაპობრივად მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. სსა-ს ადგილზე მომსახურება განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

2.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მოძრავი ქონების გაყიდვებისა და სავაჭრო ობიექტების მართვის დეპარტამენტის სავაჭრო ობიექტების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, რომელთა იდენტიფიცირება განხორციელდება სამსახურებრივი მოწმობებით.

3. ნივთის/მომსახურები ღირებულება და გადახდის წესი

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა: **500.00 (ხუთასი ლარი და ნული თეთრი)** ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ნივთისა და თანმდევი მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია პრეისკურანტით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს.

3.3. ნივთისა და მომსახურების საფასური შემსყიდველის მიერ გადაიხდება ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, რეალიზაციიდან/მომსახურების გაწევიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, სტიქიური უბედურებით, ხანძრით, გაფიცვით, საომარი-სამხედრო მოქმედებებით, ბლოკადით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.

4.2. ხელშეკრულების მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

4.3. მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

5. პასუხისმგებლობა:

5.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად - ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

5.3. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დააკისრონ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20% - ის ოდენობით.

5.4. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) ერთი მხარე უფლებამოსილია დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით.

5.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დააკისრონ ერთი მეორეს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

5.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება მომსახურების, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

5.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. შეთანხმების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრამდე.

7.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც ეცნობება მეორე მხარეს.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებებეის შესრულებისაგან.

8. დამატებითი პირობები

8.1. წინამდებარე შეთანხმების ყველა ცვლილება და/ან დამატება მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს წერილობით.

8.2. თუ წინამდებრე ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ან მისი ნაწილი აღმოჩნდება შეუსაბამობაში საქართველოს რომელიმე კანონთან, ის ჩაითვლება ხელშეკრულებიდან ამოღებულად, ამასთან დარჩენილი მუხლები დარჩება ძალაში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი:	**შემსყიდველი:**
შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45. ელ-ფოსტა: info@gsn.ge ბანკი: სს თიბისი ბანკი ანგარიშის#: GE70TB7114436080100001 დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი წაქაძე Giorgi Tsakadze 09001001390 Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2022.04.08 18:13:14	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ს/კ 205005910 მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #49ა ელ. ფოსტა: info@nasp.gov,ge საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022, ადმინ. დეპ. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: სოფიო ტურიაშვილი Sopio Turiashvili Digitally signed by Sopio Turiashvili Date: 2022.04.08 17:28:29 +04'00'

დანართი

№	სალარო აპარატი	სერვისი	ფასი
1	სალარო აპარატი/Daisy Expert	კლავიატურის გაწმენდა	24.00 ₾
2	სალარო აპარატი/Daisy Expert	პრინტერის შეცვლა	59.00 ₾
3	სალარო აპარატი/Daisy Expert	კლავიატურის შეცვლა	39.00 ₾
4	სალარო აპარატი/Daisy Expert	მოლარის ეკრანის შეცვლა	39.00 ₾
5	სალარო აპარატი/Daisy Expert	მომხმარებლის ეკრანის შეცვლა	49.00 ₾
6	სალარო აპარატი/Daisy Expert	მართვის ბლოკის შეცვლა	209.00 ₾
7	სალარო აპარატი/Daisy Expert	კრიპტაციის ბლოკის შეცვლა	124.00 ₾
8	სალარო აპარატი/Daisy Expert	ზედა კორპუსის შეცვლა	39.00 ₾
9	სალარო აპარატი/Daisy Expert	ქვედა კორპუსის შეცვლა	29.00 ₾
10	სალარო აპარატი/Daisy Expert	მომხმარებლის ეკრანის დამცავი შუშის შეცვლა	24.00 ₾
11	სალარო აპარატი/Daisy Expert	ქაღალდის მოსახევი დანის შეცვლა	24.00 ₾
12	სალარო აპარატი/Daisy Expert	ქაღალდის ხუფის შეცვლა	29.00 ₾
13	სალარო აპარატი/Daisy Expert	მარცხენა კორპუსი შეცვლა	24.00 ₾
14	სალარო აპარატი/Daisy Expert	მარჯვენა კორპუსი შეცვლა	24.00 ₾
15	სალარო აპარატი/Daisy Expert	აკუმულიატორის დამცავი ხუფის შეცვლა	19.00 ₾
16	სალარო აპარატი/Daisy Expert	მოლარის ეკრანის დამცავი შუშის შეცვლა	24.00 ₾
17	სალარო აპარატი/Daisy Expert	უკანა კორპუსის შეცვლა	19.00 ₾
18	სალარო აპარატი/Daisy Expert	შეკეთება კოროზია 1	54.00 ₾
19	სალარო აპარატი/Daisy Expert	რეგისტრაციიდან მოხსნა	119.00 ₾
20	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის გაწმენდა-გასუფთავება	34.00 ₾
21	სალარო აპარატი/Daisy Expert	ლითიუმის ელემენტის შეცვლა შიდა კვებისათვის	24.00 ₾
22	სალარო აპარატი/Daisy Expert	მისამართის ცვლილება	29.00 ₾
23	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის შეკეთება 1	59.00 ₾
24	სალარო აპარატი/Daisy Expert	სავსე ფისკალური მეხსიერების შეცვლა	119.00 ₾
25	სალარო აპარატი/Daisy Expert	კლიშეში მონაცემების კორექტირება	29.00 ₾
26	სალარო აპარატი/Daisy Expert	მოდემის შეცვლა	64.00 ₾
27	სალარო აპარატი/Daisy Expert	კვების ბლოკის შეცვლა	139.00 ₾
28	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის შეკეთება 2	69.00 ₾
29	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის შეკეთება 3	89.00 ₾
30	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის შეკეთება 4	100.00 ₾
31	სალარო აპარატი/Daisy Expert	შეკეთება კოროზია 2	65.00 ₾
32	სალარო აპარატი/Daisy Expert	სახელის ცვლილება	29.00 ₾
33	სალარო აპარატი/Daisy Expert	ფასიანი - დაზიანებული ფისკალური მეხსიერების შეცვლა	119.00 ₾
34	სალარო აპარატი/Daisy Expert	სალარო აპარატის გადაწყობა	34.00 ₾
35	სალარო აპარატი/Daisy Expert	აკუმულიატორის შეცვლა	44.00 ₾

36	სალარო აპარატი/Daisy Expert	მეორადი სალარო აპარატის რეგისტრაცია (სხვა)	29.00 ₾
37	სალარო აპარატი/Daisy Expert	მეორადი სალარო აპარატის რეგისტრაცია (GSN)	20.00 ₾
38	სალარო აპარატი/Daisy Expert	გრეის პერიოდი	29.00 ₾
39	სალარო აპარატი/Daisy Expert	გარანტიიდან მოხსნილი აპარატის შეკეთება	89.00 ₾
40	სალარო აპარატი/Daisy Expert	სერვერთან კავშირის პრობლემა	9.00 ₾
41	სალარო აპარატი/Daisy Expert	პროგრამის გადატვირთვა	9.00 ₾

დასტური ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების თაობაზე

8 აპრილი, 2022 წ.

გავეცანით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და ვადასტურებთ ხელმოწერით, რომ ჩვენი მონაწილეობა ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რომლის მიწოდებას ახორციელებს შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი", არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე _____ იოსებ ოქრომელიძე

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მჭედლიძე

ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი _____ სოფიო ტურიაშვილი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი _____ ნინო მეზურნიშვილი

დასტური ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების თაობაზე

8 აპრილი, 2022 წ.

გავეცანი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და ვადასტურებ ხელმოწერით, რომ ჩემი მონაწილეობა ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რომლის მიწოდებას ახორციელებს შპს **„ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“**, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მოძრავი ქონების გაყიდვებისა და სავაჭრო ობიექტების
მართვის დეპარტამენტის სავაჭრო ობიექტების
მართვის სამსახურის უფროსი

ნიკა გველესიანი

National agency of state property Digitally signed by National agency of state property
Date: 2022.04.08 17:27:46 +04'00'